

ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში

ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2020 წლის 28 დეკემბერს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს N28 დადგენილებით. შემოსულობები განისაზღვრა 6900,0 ათასი ლარით, გადასახდელები - 7600,0 ათასი ლარით, ხოლო ნაშთის ცვლილება - 700,0 ათასი ლარის ოდენობით. 2021 წლის განმავლობაში ბიუჯეტში ცხრაჯერ იქნა შეტანილი ცვლილებები და შემოსულობები დაზუსტდა 16518,0 ათასი ლარის, გადასახდელები 17784,7 ათასი ლარის, ხოლო ნაშთის ცვლილება 1266,7 ათასი ლარის მოცულობით.

1. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

დასახელება	2021 წლის გეგმა			2021 წლის ფაქტი			გეგმის შესრულების მაჩვენებელი
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	
შემოსავლები	16368.0	9192.0	7176.0	16523.8	9050.8	7473.0	101.0%
გადასახდელები	6652.8	0.0	6652.8	6974.5	0.0	6974.5	104.8%
გრანტები	9192.0	9192.0	0.0	9050.8	9050.8	0.0	98.5%
სხვა შემოსავლები	523.2	0.0	523.2	498.5	0.0	498.5	95.3%
ხარჯები	7745.8	522.3	7223.5	7563.0	424.1	7138.9	97.6%
შრომის ანაზღაურება	1808.7	68.5	1740.2	1770.5	68.5	1702.0	97.9%
საქონელი და მომსახურება	1238.0	388.8	849.2	1125.1	291.1	834.0	90.9%
პროცენტი	28.8	0.0	28.8	28.8	0.0	28.8	100.0%
სუბსიდიები	3721.8	65.0	3656.8	3709.3	64.5	3644.8	99.7%
გრანტები	7.3	0.0	7.3	7.3	0.0	7.3	100.0%
სოციალური უზრუნველყოფა	804.1	0.0	804.1	784.9	0.0	784.9	97.6%
სხვა ხარჯები	137.1	0.0	137.1	137.1	0.0	137.1	100.0%
საოპერაციო სალდო	8622.2	8669.7	-47.5	8960.8	8626.7	334.1	103.9%
არაფინანსური აქტივების ცვლილება	9833.3	9224.3	609.0	7210.4	6716.3	494.1	73.3%
ზრდა	9983.3	9224.3	759.0	7427.4	6716.3	711.1	74.4%
კლება	150.0	0.0	150.0	217.0	0.0	217.0	144.7%
მთლიანი სალდო	-1211.1	-554.6	-656.5	1750.4	1910.4	-160.0	
ფინანსური აქტივების ცვლილება	-1266.7	-554.6	-712.1	1694.8	1910.4	-215.6	
ზრდა	0.0	0.0	0.0	1910.4	1910.4	0.0	
ვალუტა და დეპოზიტები	0.0			1910.4	1910.4		
კლება	1266.7	554.6	712.1	215.6	0.0	215.6	
ვალუტა და დეპოზიტები	1266.7	554.6	712.1	215.6		215.6	
ვალდებულებების ცვლილება	-55.6	0.0	-55.6	-55.6	0.0	-55.6	100.0%
კლება	55.6	0.0	55.6	55.6	0.0	55.6	
საშინაო	55.6	0.0	55.6	55.6	0.0	55.6	
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	

2. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

დასახელება	2021 წლის გეგმა			2021 წლის ფაქტი			გეგმის შესრულების მაჩვენებელი
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	
შემოსულობები	16518.0	9192.0	7326.0	16740.8	9050.8	7690.0	101.3%
შემოსავლები	16368.0	9192.0	7176.0	16523.8	9050.8	7473.0	101.0%
არაფინანსური აქტივების კლება	150.0	0.0	150.0	217.0	0.0	217.0	144.7%
ფინანსური აქტივების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	-
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	-
გადასახდელები	17784.7	9746.6	8038.1	15046.0	7140.4	7905.6	84.6%
ხარჯები	7745.8	522.3	7223.5	7563.0	424.1	7138.9	97.6%
არაფინანსური აქტივების ზრდა	9983.3	9224.3	759.0	7427.4	6716.3	711.1	74.4%
ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	-
ვალდებულებების კლება	55.6	0.0	55.6	55.6	0.0	55.6	100.0%

დასახელება	2021 წლის გეგმა			2021 წლის ფაქტი			გეგმის შესრულების მაჩვენებელი
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	
ნაშთის ცვლილება	-1266.7	-554.6	-712.1	1694.8	1910.4	-215.6	
ნაშთი პერიოდის დასაწყისში	1324.1	817.2	506.9	1324.1	817.2	506.9	
ნაშთი პერიოდის ბოლოს	57.4	262.6	-205.2	3018.9	2727.6	291.3	

3. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

2021 წლის ბიუჯეტის შემოსავლების წლიური გეგმა 16368,0 ათასი ლარით განისაზღვრა. ბიუჯეტში მობილიზებულია 16523,8 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 101,0% -ს შეადგენს.

დასახელება	2021 წლის გეგმა			2021 წლის ფაქტი			გეგმის შესრულების მაჩვენებელი
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	
შემოსავლები	16368.0	9192.0	7176.0	16523.8	9050.8	7473.0	101.0%
გადასახადები	6652.8	0.0	6652.8	6974.5	0.0	6974.5	104.8%
გრანტები	9192.0	9192.0	0.0	9050.8	9050.8	0.0	98.5%
სხვა შემოსავლები	523.2	0.0	523.2	498.5	0.0	498.5	95.3%

4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

გადასახადების 2021 წლის საპროგნოზო მოცულობა 6652,8 ათასი ლარით განისაზღვრა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიღებული 6974,5 ათასი ლარი წლიური გეგმის 104,8%-ია.

დასახელება	2021 წლის გეგმა			2021 წლის ფაქტი			გეგმის შესრულების მაჩვენებელი
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	
გადასახადები	6652.8	0.0	6652.8	6974.5	0.0	6974.5	104.8%
ქონების გადასახადი	250.0	0.0	250.0	336.0	0.0	336.0	134.4%
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე	175.0	0.0	175.0	221.5	0.0	221.5	126.6%
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	50.0	0.0	50.0	82.1	0.0	82.1	164.2%
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	25.0	0.0	25.0	26.5	0.0	26.5	106.0%
დამატებული ღირებულების გადასახადი	6402.8	0.0	6402.8	6638.5	0.0	6638.5	103.7%

5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი გრანტების 2021 წლის გეგმა 9192,0 ათასი ლარით განისაზღვრა. ფინანსთა და ინფრასტრუქტურისა და განათლების სამინისტროებიდან დაფინანსების მიღების პროცესი იწარმოებოდა ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ან/და გაწეული მომსახურების მიხედვით. მიღებული დაფინანსება 9050,8 ათას ლარს შეადგენს, წლიური გეგმის 98,5%-ს.

დასახელება	2021 წლის გეგმა			2021 წლის ფაქტი			გეგმის შესრულების მაჩვენებელი
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	
გრანტები	9,192.0	9,192.0	0.0	9,050.8	9,050.8	0.0	98.5%
სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული გრანტები	9,192.0	9,192.0	0.0	9,050.8	9,050.8	0.0	98.5%
მიზნობრივი ტრანსფერი	395.7	395.7	0.0	338.0	338.0	0.0	85.4%
მ.შ. დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	145.0	145.0	0.0	145.0	145.0	0.0	100.0%
მ.შ. საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	250.7	250.7	0.0	193.0	193.0	0.0	77.0%
კაპიტალური ტრანსფერი	8,416.3	8,416.3	0.0	8,381.6	8,381.6	0.0	99.6%
მ.შ. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	5,505.7	5,505.7	0.0	5,471.2	5,471.2	0.0	99.4%
მ.შ. სოფლის მზარდაჭერის პროგრამა	570.0	570.0	0.0	570.0	570.0	0.0	100.0%
მ.შ. საჯარო სკოლების რეაბილიტაცია	58.0	58.0	0.0	57.8	57.8	0.0	99.7%
მ.შ.2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა	2,282.6	2,282.6	0.0	2,282.6	2,282.6	0.0	100.0%
სპეციალური ტრანსფერი	380.0	380.0	0.0	331.2	331.2	0.0	87.2%

6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლების წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 523,2 ათასი ლარით. მობილიზებულ იქნა 498,5 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 95,3%-ით.

დასახელება	2021 წლის გეგმა			2021 წლის ფაქტი			გეგმის შესრულების მაჩვენებელი
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	
სხვა შემოსავლები	523.2	0.0	523.2	498.5	0.0	498.5	95.3%
შემოსავლები საკუთრებიდან	330.9	0.0	330.9	281.3	0.0	281.3	85.0%
პროცენტები	25.0	0.0	25.0	39.7	0.0	39.7	158.8%
რენტა	305.9	0.0	305.9	241.6	0.0	241.6	79.0%
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	51.3	0.0	51.3	42.0	0.0	42.0	81.9%
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	30.0	0.0	30.0	24.8	0.0	24.8	82.7%
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	21.3	0.0	21.3	17.2	0.0	17.2	80.8%
ჯარიმები, სანქციები და საურავები	30.0	0.0	30.0	41.6	0.0	41.6	138.7%
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	111.0	0.0	111.0	133.6	0.0	133.6	120.4%

7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯების წლიური გეგმა 7745,8 ათას ლარს შეადგენდა. საანგარიშო პერიოდის საკასო ხარჯმა შეადგინა 7563,0 ათასი ლარი, რაც წლიურად დამტკიცებული გეგმიური მაჩვენებლის 97,6%-ია.

დასახელება	2021 წლის გეგმა			2021 წლის ფაქტი			გეგმის შესრულების მაჩვენებელი
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	
ხარჯები	7745.8	522.3	7223.5	7563.0	424.1	7138.9	97.6%
შრომის ანაზღაურება	1808.7	68.5	1740.2	1770.5	68.5	1702.0	97.9%
საქონელი და მომსახურება	1238.0	388.8	849.2	1125.1	291.1	834.0	90.9%
პროცენტი	28.8	0.0	28.8	28.8	0.0	28.8	100.0%
სუბსიდიები	3721.8	65.0	3656.8	3709.3	64.5	3644.8	99.7%
გრანტები	7.3	0.0	7.3	7.3	0.0	7.3	100.0%
სოციალური უზრუნველყოფა	804.1	0.0	804.1	784.9	0.0	784.9	97.6%
სხვა ხარჯები	137.1	0.0	137.1	137.1	0.0	137.1	100.0%

8. არაფინანსური აქტივების ცვლილება

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილების დამტკიცებული გეგმა 9833,3 ათასი ლარით განისაზღვრა. საკასო შესრულება 7210,4 ათასი ლარია, გეგმიური მაჩვენებლის 73,3%.

დასახელება	2021 წლის გეგმა			2021 წლის ფაქტი			გეგმის შესრულების მაჩვენებელი
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	
არაფინანსური აქტივების ცვლილება	9833.3	9224.3	609.0	7210.4	6716.3	494.1	73.3%
არაფინანსური აქტივების ზრდა	9983.3	9224.3	759.0	7427.4	6716.3	711.1	74.4%
არაფინანსური აქტივების კლება	150.0	0.0	150.0	217.0	0.0	217.0	144.7%

9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების წლიური გეგმა განისაზღვრა 17784,7 ათასი ლარით, საკასო შესრულებაა 15046,0 ათასი ლარი, წლიური გეგმის 84,6%.

კოდი	დასახელება	2021 წლის გეგმა			2021 წლის ფაქტი			გეგმის შესრულების მაჩვენებელი
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	
7.0	მთლიანი ასიგნებები	17784.7	9746.6	8038.1	15046.0	7140.4	7905.6	84.6%
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2481.7	0.0	2481.7	2433.5	0.0	2433.5	98.1%
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და	2481.7	0.0	2481.7	2433.5	0.0	2433.5	98.1%

კოდი	დასახელება	2021 წლის გეგმა			2021 წლის ფაქტი			გეგმის შესრულების მაჩვენებელი
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	
	ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები							
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2481.7	0.0	2481.7	2433.5	0.0	2433.5	98.1%
7.2	თავდაცვა	97.5	80.0	17.5	97.4	80.0	17.4	99.9%
7.2.5	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა თავდაცვის სფეროში	97.5	80.0	17.5	97.4	80.0	17.4	99.9%
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	9585.1	8858.2	726.9	7317.5	6635.2	682.3	76.3%
7.4.5	ტრანსპორტი	9525.1	8858.2	666.9	7259.6	6635.2	624.4	76.2%
7.4.5.1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	9525.1	8858.2	666.9	7259.6	6635.2	624.4	76.2%
7.4.7	ეკონომიკის სხვა დარგები	60.0	0.0	60.0	57.9	0.0	57.9	96.5%
7.4.7.3	ტურიზმი	60.0	0.0	60.0	57.9	0.0	57.9	96.5%
7.5	გარემოს დაცვა	576.5	4.7	571.8	571.7	0.0	571.7	99.2%
7.5.1	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	571.8	0.0	571.8	571.7	0.0	571.7	100.0%
7.5.2	ჩამდინარე წყლების მართვა	4.7	4.7	0.0	0.0	0.0	0.0	0.0%
7.6	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	299.3	0.0	299.3	294.1	0.0	294.1	98.3%
7.6.4	გარე განათება	222.0	0.0	222.0	221.1	0.0	221.1	99.6%
7.6.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	77.3	0.0	77.3	73.0	0.0	73.0	94.4%
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	95.7	65.0	30.7	94.8	64.5	30.3	99.1%
7.7.4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	93.0	65.0	28.0	92.2	64.5	27.7	99.1%
7.7.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	2.7	0.0	2.7	2.6	0.0	2.6	96.3%
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	1462.4	2.9	1459.5	1451.6	0.0	1451.6	99.3%
7.8.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	575.9	2.9	573.0	568.6	0.0	568.6	98.7%
7.8.2	მომსახურება კულტურის სფეროში	786.5	0.0	786.5	783.0	0.0	783.0	99.6%
7.8.4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	100.0	0.0	100.0	100.0	0.0	100.0	100.0%
7.9	განათლება	2342.4	735.8	1606.6	1961.0	360.7	1600.3	83.7%
7.9.1	სკოლამდელი აღზრდა	1986.1	383.5	1602.6	1674.7	78.4	1596.3	84.3%
7.9.2	ზოგადი განათლება	356.3	352.3	4.0	286.3	282.3	4.0	80.4%
7.9.2.3	საშუალო ზოგადი განათლება	356.3	352.3	4.0	286.3	282.3	4.0	80.4%
7.1	სოციალური დაცვა	844.1	0.0	844.1	824.4	0.0	824.4	97.7%
7.10.1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	411.4	0.0	411.4	398.8	0.0	398.8	96.9%
7.10.1.1	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	337.5	0.0	337.5	324.9	0.0	324.9	96.3%
7.10.1.2	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	73.9	0.0	73.9	73.9	0.0	73.9	100.0%
7.10.2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	8.0	0.0	8.0	8.0	0.0	8.0	100.0%
7.10.3	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	23.0	0.0	23.0	21.5	0.0	21.5	93.5%
7.10.4	ოჯახებისა და ზავების სოციალური დაცვა	109.1	0.0	109.1	109.0	0.0	109.0	99.9%
7.10.6	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	43.5	0.0	43.5	43.4	0.0	43.4	99.8%
7.10.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	249.1	0.0	249.1	243.7	0.0	243.7	97.8%

10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდოს 2021 წლის შესრულების მაჩვენებელმა 1750,4 ათასი ლარი, ხოლო საოპერაციო სალდოს მაჩვენებელმა 8960,8 ათასი ლარი შეადგინა.

დასახელება	2021 წლის გეგმა			2021 წლის ფაქტი		
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
საოპერაციო სალდო	8622.2	8669.7	-47.5	8960.8	8626.7	334.1
მთლიანი სალდო	-1211.1	-554.6	-656.5	1750.4	1910.4	-160.0

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილების 2021 წლის შესრულების მაჩვენებელი 1694,8 ათასი ლარია.

დასახელება	2021 წლის გეგმა			2021 წლის ფაქტი		
	სულ	საბელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	საბელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
ფინანსური აქტივების ცვლილება	-1266.7	-554.6	-712.1	1694.8	1910.4	-215.6
ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	1910.4	1910.4	0.0
ფინანსური აქტივების კლება	1266.7	554.6	712.1	215.6	0.0	215.6

12. ვალდებულებების ცვლილება

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილების (კლება) 2021 წლის საკასო შესრულების მაჩვენებელი 55,6 ათასი ლარია, 56,0 ათასი ლარის გეგმის პირობებში, გეგმა 100,0%-ით შესრულდა.

დასახელება	2021 წლის გეგმა			2021 წლის ფაქტი			გეგმის შესრულების მაჩვენებელი
	სულ	საბელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	საბელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	
ვალდებულებების ცვლილება	-55.6	0.0	-55.6	-55.6	0.0	-55.6	100.0%
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	-
კლება	55.6	0.0	55.6	55.6	0.0	55.6	100.0%

13. ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის ასიგნების გეგმა განისაზღვრა 9829,1 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ გეგმის 76,9%, 7553,7 ათასი ლარი შეადგინა. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 87-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, განმარტებას საჭიროებს პროგრამების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობა, თუ ასეთი შეუსაბამობა აღემატება 30%-ს. აღნიშნული ასიგნების ფარგლებში ასეთი შეუსაბამობა არსებობს საბიუჯეტო პროგრამაზე „სანიაღვრე და ნაპირსამაგრი სისტემის რეაბილიტაცია“ და „სოფლის განვითარების მხარდაჭერა“ რაც განაპირობა იმ ფაქტმა, რომ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული ტენდერები არ შედგა გათვალისწინებულ ვადებში. ასევე, სამუშაოები ვერ დასრულდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში. რაც შეეხება სანიაღვრე და ნაპირსამაგრი სისტემის რეაბილიტაციის პროგრამის შეუსრულებლობას, აღნიშნული ასიგნება ითვალისწინებდა შესრულებულ სამუშაოებზე საგარანტიო უზრუნველყოფის თანხას.

პროგრამული კოდი	დასახელება	2021 წლის გეგმა			2021 წლის ფაქტი			გეგმის შესრულების მაჩვენებელი
		სულ	საბელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	საბელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	9829.1	8862.9	966.2	7553.7	6635.2	918.5	76.9%
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	8914.7	8261.3	653.4	6849.0	6224.8	624.2	76.8%
02 02	სანიაღვრე და ნაპირსამაგრი სისტემის რეაბილიტაცია	4.7	4.7	0.0	0.0	0.0	0.0	0.0%
02 04	გარე განათების უზრუნველყოფა	222.0	0.0	222.0	221.1	0.0	221.1	99.6%
02 05	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	77.3	0.0	77.3	73.0	0.0	73.0	94.4%
02 06	სოფლის განვითარების ხელშეწყობა	610.4	596.9	13.5	410.6	410.4	0.2	67.3%

ა) პროგრამის დასახელება - 02 01 საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება.

მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილების, სტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის მიღწევის მიზნით, მუნიციპალიტეტი განაგრძობს საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებებს 2021 წელს გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა 8914,7 ლარს შეადგენდა. საკასო შესრულების მაჩვენებელი 6849,0 ათასი ლარია, წლიური გეგმის 76,8%-ია. რეაბილიტირდა ქ. ვანის, დიხაშხოს, ციხესულორის, ტობანიერის, ზეინდარის შიდა საუბნო საავტომობილო გზები. დასრულდა სალხინო ზენობნის, შუამთა მთსძირის დამაკავშირებელი გზის, ქ.ვანში წმინდა ნინოს ქუჩის, სალხინოს და ამღლების გზის რეაბილიტაცია.

გ) პროგრამის დასახელება - 02 04 გარე განათების უზრუნველყოფა

დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისა და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. მუნიციპალურ ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების პროგრამის ფარგლებში გარე განათების სისტემის განვითარებისა და ექსპლოატაციისათვის საჭირო ხარჯები დაფინანსდა. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ვანში და 20 ადმინისტრაციულ ერთეულში. პროგრამის ასიგნებები მოხმარდა ელექტროენერჯის ხარჯების ანაზღაურებას. საკასო შესრულება 221,1 ათასი ლარია, რაც წლიური გეგმის 222,0 ათასი ლარის 99,6%-ია.

დ) პროგრამის დასახელება - 02 05 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები

ქალაქ ვანში განხორციელდა თავისუფლების ქუჩაზე N 63-65 მდებარე სკვერების რეაბილიტაცია. საკასო შესრულებამ 73,0 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 77,3 ათასი ლარის 94,4% -ია.

ე) პროგრამის დასახელება - 02 06 სოფლის განვითარების ხელშეწყობა

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებითა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით, მოსახლეობის ინტერესებისა და გადაწყვეტილების შესაბამისად, განხორციელდა სხვადასხვა სახის პროექტები. გაწეული ხარჯი 410,6 ათას ლარია, წლიური გეგმის 610,4 ათასი ლარის 67,3%.

14. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავებისა და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ასიგნებები განისაზღვრა 571,8 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ შეადგინა გეგმის 99,9% 571,7 ათასი ლარი.

პროგრამული კოდი	დასახელება	2021 წლის გეგმა			2021 წლის ფაქტი			გეგმის შესრულების მაჩვენებელი
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	571.8	0.0	571.8	571.7	0.0	571.7	100.0%
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	523.0	0.0	523.0	522.9	0.0	522.9	100.0%
03 02	დასუფთავების ღონისძიებები	48.8	0.0	48.8	48.8	0.0	48.8	100.0%

ა) პროგრამის დასახელება - 03 01 დასუფთავება და ნარჩენების გატანა

ვანის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. პროგრამის ფარგლებში კომუნალური გაერთიანება ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 3 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომანქანა. სამუშაოები ხორციელდება მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში. შეგროვებული ნარჩენები გადის სამტრედიის ნაგავსაყრელზე. პროგრამისთვის გამოყოფილ ასიგნებები ასევე მოიცავს ა(ა)იპ - ვანის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანების ადმინისტრაციულ ხარჯებს და პერსონალის ხელფასებს. კომუნალური გაერთიანების დაფინანსების გეგმიური მაჩვენებელი 523,0 ათას ლარს შეადგენდა. საკასო შესრულება 522,9 ათასი ლარია, წლიური გეგმის 99,9%-ია.

ბ) პროგრამის დასახელება - 03 02 დასუფთავების ღონისძიებები

დასუფთავების ღონისძიებების უკეთ განხორციელების მიზნით მუნიციპალიტეტი განაგრძობს შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილ ღონისძიებებს. პროგრამისთვის გამოყოფილ ასიგნებები სანაგვე კონტეინერების შეძენას მოხმარდა. გეგმიურმა და ფაქტობრივმა ასიგნებამ 48,8 ათასი ლარი შეადგინა.

15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსების ასიგნება განისაზღვრა 2342,4 ათასი ლარით. საკასო შესრულებამ შეადგინა 1961,0 ათასი ლარი, გეგმის 83,7%.

პროგრამული კოდი	დასახელება	2021 წლის გეგმა			2021 წლის ფაქტი			გეგმის შესრულების მაჩვენებელი
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	
04 00	განათლება	2342.4	735.8	1606.6	1961.0	360.7	1600.3	83.7%
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	1600.0	0.0	1600.0	1594.7	0.0	1594.7	99.7%
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია	386.1	383.5	2.6	80.0	78.4	1.6	20.7%
04 03	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	356.3	352.3	4.0	286.3	282.3	4.0	80.4%

ა) პროგრამის დასახელება - 04 01 სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას წარმოადგენს. კანონმდებლობით, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ვანის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბაგა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 26 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 700-ზე მეტი ბავშვი. 2021 წლის გეგმით გამოყოფილი ასიგნებები 1600,0 ათას ლარს, ხოლო საკასო შესრულება 1594,7 ათას ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის 99,7%-ია.

ბ) პროგრამის დასახელება - 04 02 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სრულყოფილი და სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია, რომელიც მუნიციპალიტეტის ერთ ერთ უმთავრეს პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტი კვლავ განაგრძობს დაწესებულებების რეაბილიტაციის ღონისძიებებს. ასიგნების გეგმა 386,1 ათას ლარს შეადგენდა, საკასო ხარჯი 80,0 ათასი ლარია, გეგმის 20,7%. აღნიშნული განაპირობა შემდეგმა გარემოებამ: 2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში დაიწყო დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ისრითში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია. თავდაპირველად, განკარგულებით, პროგრამა გათვალისწინებული იყო როგორც ორწლიანი, მაგრამ 27 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებებით, დაფინანსების მთლიანი თანხა გამოიყო 2021 წელს, და ბუნებრივია, 27 დეკემბრის შემდეგ ათვისება ვერ განხორციელდებოდა, ვინაიდან კონტრაქტორ ორგანიზაციას, დასრულების ვალდებულება 2022 წელს აქვს.

გ) პროგრამის დასახელება - 04 03 ზოგადი განათლების ხელშეწყობა

სრულყოფილი ზოგადი განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით, განათლების სამინისტროსა და ვანის მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილებათა დელეგირების საფუძველზე, მუნიციპალიტეტი კვლავ განაგრძობს მოსწავლეთა ტრანსპორტირებისა და საჯარო სკოლების რეაბილიტაციის ღონისძიებებს. 2021 წელს დასრულდა სოფელ ზედა გორას, ქვედა გორას, ზედა ვანის და საპრასიის საჯარო სკოლების სხვადასხვა სარეაბილიტაციო სამუშაოები. პროგრამის განსახორციელებლად გეგმით 356,3 ათასი ლარი, ხოლო ფაქტობრივად 286,3 ათასი ლარი მიიმართა, რაც წლიური გეგმის 80,4%-ია.

16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურის, ახალგაზრდობის და სპორტის პრიორიტეტის ასიგნების მოცულობა განისაზღვრა 2258,2 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 2174,7 ათასი ლარი, წლიური გეგმის 96,3%.

პროგრამული კოდი	დასახელება	2021 წლის გეგმა			2021 წლის ფაქტი			გეგმის შესრულების მაჩვენებელი
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	1522.4	2.9	1519.5	1509.5	0.0	1509.5	99.2%
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	575.9	2.9	573.0	568.6	0.0	568.6	98.7%
05 01 01	სპორტული ღონისძიებების ორგანიზება	2.0	0.0	2.0	2.0	0.0	2.0	100.0%
05 01 02	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	200.0	0.0	200.0	197.5	0.0	197.5	98.8%
05 01 03	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	210.0	0.0	210.0	209.2	0.0	209.2	99.6%
05 01 04	რაგბის განვითარების ხელშეწყობა	160.0	0.0	160.0	159.9	0.0	159.9	99.9%
05 01 05	სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია	3.9	2.9	1.0	0.0	0.0	0.0	0.0%
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	879.5	0.0	879.5	877.8	0.0	877.8	99.8%
05 02 01	კულტურის ღონისძიებების ორგანიზება	430.0	0.0	430.0	429.8	0.0	429.8	100.0%
05 02 02	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	348.0	0.0	348.0	348.0	0.0	348.0	100.0%

პროგრამული კოდი	დასახელება	2021 წლის გეგმა			2021 წლის ფაქტი			გეგმის შესრულების მაჩვენებელი
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	
05 02 03	კულტურის ობიექტების რეაბილიტაცია	1.5	0.0	1.5	0.0	0.0	0.0	0.0%
05 02 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	100.0	0.0	100.0	100.0	0.0	100.0	100.0%
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	7.0	0.0	7.0	5.2	0.0	5.2	74.3%
05 04	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	60.0	0.0	60.0	57.9	0.0	57.9	96.5%

ა) პროგრამის დასახელება - 05 01 01 სპორტული ღონისძიებების დაფინანსება

პანდემიის გამო მნიშვნელოვანი შეზღუდვით განხორციელდა დაფინანსება. პროგრამაზე გეგმით და ფაქტობრივად 2,0 ათასი ლარი მიიძარდა.

ბ) პროგრამის დასახელება - 05 01 02 სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა

პანდემიის გამო ასევე მნიშვნელოვანი შეზღუდვებით ფუქნციონირებდა სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით ორგანიზაციის დაფინანსებისათვის 200,0 ათასი ლარი გამოიყო, საკასო შესრულებამ 197,5 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 98,8%-ია.

გ) პროგრამის დასახელება - 05 01 03 ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა

საფეხბურთო კლუბ ვანის სულორს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით 210,0 ათასი ლარი გამოიყო, საკასო შესრულებამ 209,2 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 99,6%ია.

დ) პროგრამის დასახელება - 05 01 04 რაგბის განვითარების ხელშეწყობა.

სარაგბო კლუბ ვანის აიეტს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით ორგანიზაციის დაფინანსებისათვის 160,0 ათასი ლარი გამოიყო, საკასო შესრულებამ 159,9 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 99,9%ია.

ე) პროგრამის დასახელება - 05 01 05 სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნება წარმოადგენდა შესრულებული სამუშაოს საგარანტიო უზრუნველყოფას.

ვ) პროგრამის დასახელება - 05 02 01 კულტურის ღონისძიებების ორგანიზება

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა კულტურის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი კულტურის სახლების, ბიბლიოთეკის, მუზეუმების, ცეკვისა და ქართული ხალხური სიმღერის ანსამბლების დაფინანსება. გეგმიური დაფინანსების მოცულობა 430,0 ათას ლარს, ხოლო ფაქტობრივი შესრულება 429,8 ათას ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის 100,0%-ია.

ზ) პროგრამის დასახელება - 05 02 02 სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა

სახელოვნებო განათლებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით 348,0 ათასი ლარი გამოიყო, საკასო შესრულებამ წლიური გეგმის 100,0%, შეადგინა.

თ) პროგრამის დასახელება - 05 02 03 კულტურის ობიექტების რეაბილიტაცია

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნება წარმოადგენდა შესრულებული სამუშაოს საგარანტიო უზრუნველყოფას.

ი) პროგრამის დასახელება - 05 02 04 რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების ფინანსური მხარდაჭერის მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით როგორც გეგმით, ასევე ფაქტიურად 100,0 ათასი ლარი მიიძარდა.

კ) პროგრამის დასახელება - 05 03 ახალგაზრდული და კულტურის ღონისძიებების დაფინანსება

პანდემიიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი შეზღუდვებით განხორციელდა კულტურისა და ახალგაზრდული ღონისძიებები. 2021 წლის ასიგნება 7,0 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტობრივად პროგრამაზე 5,2 ათასი ლარი მიიძარდა, წლიური გეგმის -74,3% .

ლ) პროგრამის დასახელება - 05 04 ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით ტურიზმის განვითარების ცენტრის დაფინანსებისათვის 60,0 ათასი ლარი გამოიყო, საკასო შესრულებამ 57,9 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 96,5%-ია.

17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის გეგმიური დაფინანსება განისაზღვრა 939,8 ათასი ლარით. საკასო შესრულებამ შეადგინა 919,2 ათასი ლარი, გეგმის 97,8%.

პროგრამული კოდი	დასახელება	2021 წლის გეგმა			2021 წლის ფაქტი			გეგმის შესრულების მაჩვენებელი
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	939.8	65.0	874.8	919.2	64.5	854.7	97.8%
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	95.7	65.0	30.7	94.8	64.5	30.3	99.1%
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა	93.0	65.0	28.0	92.2	64.5	27.7	99.1%
06 01 02	ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია	2.7	0.0	2.7	2.6	0.0	2.6	96.3%
06 02	სოციალური დაცვა	844.1	0.0	844.1	824.4	0.0	824.4	97.7%
06 02 01	ახალშობილთა ოჯახების დახმარება	80.2	0.0	80.2	80.1	0.0	80.1	99.9%
06 02 02	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	28.9	0.0	28.9	28.9	0.0	28.9	100.0%
06 02 03	სამედიცინო დახმარება	281.5	0.0	281.5	269.3	0.0	269.3	95.7%
06 02 04	დიალიზის პროგრამაში ჩართულთა დახმარება	56.0	0.0	56.0	55.6	0.0	55.6	99.3%
06 02 05	წმ პირთა დახმარება	73.9	0.0	73.9	73.9	0.0	73.9	100.0%
06 02 06	მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფა	43.1	0.0	43.1	39.6	0.0	39.6	91.9%
06 02 07	სტიქიით დაზარალებულთა დახმარება	39.5	0.0	39.5	39.5	0.0	39.5	100.0%
06 02 08	დღეგრძელთა დახმარება	8.0	0.0	8.0	8.0	0.0	8.0	100.0%
06 02 09	ვეტერანთა დახმარება	13.0	0.0	13.0	12.3	0.0	12.3	94.6%
06 02 10	მარჩენალგარდაცვლილ პირთა დახმარება	23.0	0.0	23.0	21.5	0.0	21.5	93.5%
06 02 11	სტუდენტთა დახმარება	24.0	0.0	24.0	24.0	0.0	24.0	100.0%
06 02 12	ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარება	1.0	0.0	1.0	0.4	0.0	0.4	40.0%
06 02 13	უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფა	4.0	0.0	4.0	3.9	0.0	3.9	97.5%
06 02 14	სარიტუალო დახმარება	17.9	0.0	17.9	17.9	0.0	17.9	100.0%
06 02 15	სხვა სოციალური ღონისძიებები	150.1	0.0	150.1	149.5	0.0	149.5	99.6%

ა) პროგრამის დასახელება - 06 01 01 საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ: გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა და განხორციელების ხელშეწყობა, საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფა, იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკის უზრუნველყოფა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანების ფაუნის გავრცელების შესწავლა და დადგენა, პრევენციული და კონტროლის ღონისძიებები, პარაზიტული დაავადებების პირველადი კვლევა, დაავადებების დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მკურნალობა, სანიტარული ღონისძიებები. ვანის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსების წლიურმა გეგმამ 93,0 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო საკასო შესრულება 92,2 ათასი ლარია, რაც წლიური გეგმის 99,1%-ია.

ბ) პროგრამის დასახელება - 06 01 02 ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია

პროგრამის განსახორციელებლად გაწეულმა საკასო ხარჯმა 2,6 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 2,7 ათასი ლარის 96,3%-ია.

გ) პროგრამის დასახელება - 06 02 01 ახალშობილთა ოჯახების დახმარება

დახმარება გაეწია ახალშობილთა ოჯახებს: პირველი შვილის შეძენისას 300 (სამასი) ლარის, მეორე შვილზე 350 (სამასორმოდდაათი) ლარის, მესამე და მომდევნო შვილის შეძენისას 500 (ხუთასი) ლარით, ხოლო ტყუპების შეძენისას თითოეულ ახალშობილზე 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. წლიურად დამტკიცებული ასიგნების მოცულობა 80,2 ათას ლარს შეადგენდა, ხოლო საკასო ხარჯი წლიური გეგმის 99,9%-ს, 80,1 ათას ლარს. პროგრამით ისარგებლა 214 ბენეფიციარმა.

დ) პროგრამის დასახელება - 06 02 02 მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება

მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულმა მრავალშვილიანმა ოჯახებმა, რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი, მიიღეს ერთჯერადი ფინანსური დახმარება თითოეულ

ბავშვზე 100 ლარი. პროგრამის ფარგლებში გაწეული საკასო ხარჯი 28,9 ათას ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის 100,0%-ია. ისარგებლა 71 ბენეფიციარმა.

ე) პროგრამის დასახელება - 06 02 03 სამედიცინო დახმარება

განხორციელდა მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების ღირებულების ანაზღაურების თანადაფინანსება. პროგრამაზე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით მიმართული იყო 281,5 ათასი ლარი. საკასო ხარჯი 269,3 ათასი ლარია, წლიური გეგმის 95,7%. ისარგებლა 698 ბენეფიციარმა.

ვ) პროგრამის დასახელება - 06 02 04 დიალიზის პროგრამაში ჩართულთა დახმარება

